

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021
წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..... 7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია..... 10
2. მომზადების საფუძვლები 10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 13
4. რისკების მართვა..... 14
5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია..... 21
6. წმინდა გამომუშავებული პრემია..... 22
7. წმინდა სადაზღვევო ზარალები 23
8. აკვიზიციის ხარჯები 23
9. სხვა ხარჯები..... 24
10. მოგების გადასახადის ხარჯი..... 24
11. ფული და ფულის ეკვივალენტები..... 25
12. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები 25
13. სხვა აქტივები..... 26
14. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან 26
15. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები 27
16. აკვიზიციის გადავადებული ხარჯი 29
17. არამატერიალური აქტივები..... 29
18. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება 29
19. ძირითადი საშუალებები 30
20. სააქციო კაპიტალი 31
21. სხვა ვალდებულებები 31
22. ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ 31
23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 31
24. პირობითი ვალდებულებები 32
25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 33
26. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 33

მმართველობის ანგარიშგება..... 45

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“-ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

კომპანიის 2021 წლის ზარალი შეადგენს 441,478 ლარს, ხოლო დაგროვილი ზარალი 3,601,622 ლარს, ასევე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს სადაზღვევო კანონმდებლობით განსაზღვრულ სახედასახედელო კაპიტალის მოთხოვნას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სადაზღვევო კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ამოქმედება. როგორც 25-ე შენიშვნაშია აღნიშნული, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი უკრაინის წინააღმდეგ. ამ გარემოების გამო მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ და რუსული ინვესტიციებით დაფინანსებულ კომპანიების ნაწილზე და კონკრეტულ პირებზე დააწესა სანქციები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეზღუდა მათი ფუნქციონირების უნარი. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღით აქვს გადაზღვეული სადაზღვევო რისკები რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ გადაზღვეველ კომპანიებთან, მათ შორის არის ისეთი გადაზღვეველიც, რომელიც ხვდება სანქცირებულთა სიაში. ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ხელმძღვანელობამ ვერ წარმოგიდგინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები თავისი სამომავლო გეგმების გასამყარებლად, თუ როგორ აპირებს მოსალოდნელი საკანონმდებლო და ფინანსური სირთულეების გადაწყვეტას. ყოველივე ამის შედეგად ჩვენ ვერ შევძელით იმის განსაზღვრა, მიზანშეწონილი იყო თუ არა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული „ფუნქციონირებადი საწარმოს“ დაშვება.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება კომპანიის გრძელვადიანი აქტივების - ძირითადი საშუალებების, აქტივების გამოყენების უფლებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ნიშნები. მოცემული თარიღისათვის კომპანიას არ აქვს ჩატარებული ზემოაღნიშნული აქტივების გაუფასურების ტესტირება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 36 „აქტივების გაუფასურების“ მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული გრძელვადიანი აქტივები წარმოდგენილია 1,051,134 ლარის ღირებულებით. შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან, აქტივების გამოყენების უფლებასთან, არამატერიალურ აქტივებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.



2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას 2,116,817 ლარის ჯამური ღირებულების „დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნების“ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასებული აქვს, როგორც 19,794 ლარი. ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად არის თუ არა გაანგარიშებული და აღრიცხული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში „დაზღვევიდან და გადაზღვევიდან მოთხოვნებთან“ და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იდენტიფიცირდება 1,012,672 ლარის ჯამური ღირებულების სასამართლო დავები, რომელთა მოსალოდნელი შედეგიც კომპანიას ფინანსური ანგარიშგების 24-ე შენიშვნაში ასახული აქვს, როგორც პირობითი ვალდებულება. აუდიტის პროცესში ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, აღნიშნული დავების მოსალოდნელი შედეგი უნდა იყოს შეფასებული და ასახული, როგორც პირობითი ვალდებულება, თუ აღრიცხული, როგორც ხარჯი და ანარიცხი. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ 74,040 ლარის ღირებულების გადარჩენილი ქონების რეკლასიფიკაცია მოახდინა სხვა აქტივებიდან ძირითადი საშუალებების მუხლში. 2021 წელსვე კომპანიამ აღნიშნული ქონება გადააფასა და ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახა გადაფასების რეზერვი 132,983 ლარის ღირებულებით. აუდიტის პროცესში ხელმძღვანელობამ ვერ წარმოვიდგინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ქონების გამოყენების ხასიათის ცვლილებასთან დაკავშირებით. შედეგად, ვერ დავადგინეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას, გადაფასების რეზერვსა და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზების გამო, რომლებიც მოყვანილია მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით მოსაზრების გამოთქმა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

რაც შეეხება მმართველობის ანგარიშგებას, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2021 წლის მმართველობის ანგარიშგება მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში, ჩვენი მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, აზრი გამოვთქვათ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.



მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის “მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 აპრილი 2022 წელი

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	შენიშვნა	2021	2020*
მოზიდული სადაზღვევო პრემია	6	5,358,777	5,923,195
გადამზღვეველის წილი მოზიდულ პრემიაში	6	(191,715)	(183,580)
წმინდა მოზიდული პრემია		5,167,062	5,739,615
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(162,754)	35,237
გამომუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილებაში		10,956	(27,466)
გადამზღვევის წილი			
წმინდა გამოუმუშავებული პრემია	6	5,015,264	5,747,386
შემოსავალი გადაზღვევის საკომისიოდან		24,885	64,064
სულ შემოსავალი		5,040,149	5,811,450
სადაზღვევო ზარალები და ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში	7	(2,141,875)	(3,449,557)
გადამზღვეველის წილი სადაზღვევო ზარალებში და ცვლილებაში ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში	7	-	74,366
წმინდა სადაზღვევო ზარალები	7	(2,141,875)	(3,375,191)
აკვიზიციის ხარჯები	8	(376,860)	(336,372)
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი		(1,764,820)	(1,745,989)
მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება		468,824	(732,544)
სხვა ხარჯები	9	(1,462,557)	(1,268,300)
საპროცენტო შემოსავალი, წმინდა		125,701	137,544
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა		(319,178)	541,835
ზარალი დაბეგრამდე		(430,616)	(967,567)
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(10,862)	(28,059)
წლის ზარალი		(441,478)	(995,626)
სხვა სრული შემოსავალი			
მოგება ძირითადი საშუალების გადაფასებიდან		132,983	-
სხვა სრული შემოსავალი, დაბეგრის შემდეგ		132,983	-
მთლიანი სრული ზარალი		(308,495)	(995,626)

(*) - საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს, გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2022 წლის 15 აპრილს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირის მიერ:

ფინანსური დირექტორი



მ. გურული

10-44 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	236,948	649,774
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	12	7,745,105	5,291,678
სხვა აქტივები	13	414,002	499,708
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	14	2,097,023	1,553,906
გადაზღვევის აქტივი	15	128,596	117,640
აკვიზიციის გადავადებული ხარჯი	16	177,878	164,795
გადავადებული საგადასახადო აქტივი	10	-	10,862
გაცემული სესხები		57,200	-
არამატერიალური აქტივები	17	146,051	108,131
აქტივების გამოყენების უფლება	18	477,538	658,566
ძირითადი საშუალებები	19	427,545	245,989
სულ აქტივები		11,907,886	9,301,049
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	20	10,891,468	7,725,554
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		132,983	-
დაგროვილი ზარალი		(3,601,622)	(3,160,144)
სულ კაპიტალი		7,422,829	4,565,410
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	21	972,425	670,239
ვალდებულებები გამაზღვეველთა მიმართ	22	155,184	362,741
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	15	2,782,115	2,898,735
საიჯარო ვალდებულებები	18	575,333	803,924
სულ ვალდებულებები		4,485,057	4,735,639
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,907,886	9,301,049

10-44 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ
31.12.2019	7,725,554	(2,164,518)	-	5,561,036
წლის ზარალი	-	(995,626)	-	(995,626)
31.12.2020	7,725,554	(3,160,144)	-	4,565,410
სააქციო კაპიტალის ზრდა	3,165,914	-	-	3,165,914
წლის ზარალი	-	(441,478)	-	(441,478)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	132,983	132,983
31.12.2021	10,891,468	(3,601,622)	132,983	7,422,829

10-44 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

	2021	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული სადაზღვევო პრემია	4,967,816	6,205,639
გადახდილი გადაზღვევის პრემია	(341,152)	(671,934)
გადახდილი ზარალი	(2,969,982)	(2,900,863)
გადაზღვევიდან მიღებული საკომისიო	20,062	41,153
რეგრესი და გადარჩენილი ქონება	484,472	81,534
გადახდილი ბროკერის და აგენტის საკომისიო	(302,539)	(338,467)
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(1,345,028)	(1,301,728)
გადახდილი გადასახადები	(301,582)	(771,270)
გადახდილი საბანკო ხარჯები	(5,235)	(10,207)
გადახდილი იჯარა	(316,961)	(122,704)
გადახდილი კონსულტანტების და აუდიტორების მომსახურება	(61,551)	(57,041)
გადახდილი საკომუნიკაციო ხარჯები	(85,041)	(80,270)
გადახდილი საკანცელარიო ხარჯები	(12,477)	(19,916)
გადახდილი მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები	(65,988)	(42,261)
დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტები	170,517	207,672
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	(2,453,427)	(87,989)
გადახდილი სხვა ხარჯები	(475,061)	(125,365)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/ (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(3,093,157)	5,983
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
სესხის გაცემა	(57,200)	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(50,541)	(80,191)
ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობანი	-	24,804
არამატერიალური აქტივების შეძენა	(47,909)	(31,996)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(155,650)	(87,383)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულებების პროცენტების გადახდა	-	(72,488)
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა	-	(179,406)
სააქციო კაპიტალის ზრდა	3,165,914	-
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) ფულადი სახსრები, წმინდა	3,165,914	(251,894)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	(329,933)	558,903
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/ (შემცირება)	(412,826)	225,609
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	649,774	424,165
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	236,948	649,774

10-44 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი (ს/კ 204540274) (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2007 წელს. კომპანია ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას. კომპანია ფლობს ორი სახის დაზღვევის ლიცენზიას: სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისთვის, რომლებიც გაცემულია დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დამფუძნებელი და სააქციო კაპიტალის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „MERCURY EUROPE HOLDINGS“ (ს.ნ. B 165504, მისამართი: ემილი როიტერის გამზირი N11, L-2420, ლუქსემბურგი).

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მკონტროლებელი პირი არის ალია ბაბაევა (აზერბაიჯანი).

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, უნივერსიტეტის ქუჩა, N24, სართული 6, სადარბაზო 1, ოფისი N6. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფუნქციონირებს კომპანიის ოთხი სერვისცენტრი თელავში, ბათუმში, ფოთსა და თბილისში.

2. მომზადების საფუძვლები

წარდგენის საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში, ფასს-ების) შესაბამისად.

კომპანია სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ლარში, როგორც ეს საქართველოს კანონმდებლობით მოითხოვება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ლარში. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები არ არის დამრგვალებული, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 26-ე შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში, რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანია შეძლებს აქტივების რეალიზებას და ვალდებულებების დაფარვას ბიზნესის ნორმალურად ფუნქციონირების პროცესში. ამგვარად განსჯისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა კომპანიის ოპერაციებზე გარე ფაქტორების ზეგავლენა.

2021 წლის განმავლობაში კომპანიის წლის ზარალი შეადგენს 441,478 ლარს, ხოლო დაგროვილი ზარალი 3,601,122 ლარს, ასევე კომპანია ვერ აკმაყოფილებს სადაზღვევო კანონმდებლობით განსაზღვრულ საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნას.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

როგორც 25-ე შენიშვნაშია მოცემული, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. აღნიშნულმა მოვლენამ და მსოფლიოს პასუხმა რუსეთის ფედერაციის საომარ მოქმედებებზე, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მრავალ კომპანიებზე, რომლებიც საქმიანობენ რუსეთის ან უკრაინის ტერიტორიაზე. რუსეთის მთავრობისთვის, რუსული საწარმოებისთვის და რუსეთის მოქალაქე ფიზიკური პირების დაწესებულმა სანქციებმა შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მრავალი ფინანსური რესურსით სარგებლობაზე და ზოგადად სავაჭრო საქმიანობაზე. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღით აქვს გადაზღვეული სადაზღვევო რისკები რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ გადამზღვეველ კომპანიებთან, რომელთაგან ნაწილი კომპანიებისა ხდება სანქცირებულთა სიაში.

მიუხედავად ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე მართებულია, შემდეგი გარემოებების გამო:

- კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული გადამზღვეველების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც სამოქმედო გეგმა წარუდგინა სადაზღვევო ზედამხედველობის სამსახურს.
- კომპანიის ხელმძღვანელობის განმარტებით, კომპანიის დამფუძნებლები მზად არიან კომპანიას გაუწიონ ფინანსური დახმარება საჭიროების შემთხვევაში კაპიტალის გაზრდის გზით;
- კომპანიამ შეიმუშავა 2022 წლის ბიუჯეტის გეგმა, რომელიც წარუდგინა სადაზღვევო ზედამხედველობას, როგორც საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დაკმაყოფილების გზა.

შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსები, რომ გააგრძელოს საოპერაციო საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის კომპანიის უნარს, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ პროგნოზირებად მომავალში.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) 2021 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2021 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შევიდა რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული იჯარის ხელშეკრულებებში ცვლილებები (შესწორება - ფასს 16);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39, ფასს 7 და ფასს 16).

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები (შესწორება - ბასს 1 და ფასს სამუშაო ანგარიში 2);
- სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (შესწორება - ბასს 8);

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

- ინდივიდუალური ოპერაციის საფუძველზე წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული მოგების გადასახადი (შესწორება - ბასს 12).
- ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები (დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ).

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები - 2017 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“, ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს, და ჩანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“.

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და სავალდებულოა შედარებადი რიცხოვრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს. რეტროსპექტულად გამოყენება სავალდებულოა. თუმცა, თუ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფისთვის სრული რეტროსპექტული გამოყენება შეუძლებელია, მაშინ საწარმო ვალდებულია, აირჩიოს ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა, ან სამართლიანი ღირებულების მეთოდი. კომპანია აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღისთვის ფასს 9-სთან ერთად.

ფასს 9 სავალდებულოდ ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს. ფასს 4-ში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, კომპანია იყენებს დასაშვებ დროებით გამოწვევის ფასს 9-ის გამოყენებისგან, როგორც კომპანია, რომლის მთავარი საქმიანობა არის სადაზღვევო საქმიანობა, რომელიც ფასს 4-ის მოქმედების სფეროში ჯდება. გამოყენებული დაშვება არის - გადავადებული მიდგომა (deferral approach). ამ ცვლილების გამოყენება ნებაყოფლობითია და კომპანიას შეუძლია გამოყენების შეწყვეტა, მანამ სანამ ახალი სადაზღვევო კონტრაქტების სტანდარტი შევა ძალაში. აღნიშნული მიდგომის მიხედვით კომპანია იყენებს ბასს 39-ს, ნაცვლად ფასს 9-ის გამოყენებისა საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვრამდე, რადგან მანამდე არ ახდენდა ფასს 9-ის გამოყენებას.

კომპანია 2021 წლის ბოლოს აკმაყოფილებდა ფასს 9-ის გამოყენებისგან დროებით განთავისუფლების მიდგომის კრიტერიუმებს - ფასს 4-ის მოქმედების სფეროში მყოფი ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების მთლიანი საბალანსო ღირებულება მეტია, ვიდრე ყველა მისი ვალდებულების მთლიანი საბალანსო ღირებულების 90%. დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებულებები წარმოდგენილი იყო შემდეგნაირად:

	<u>31.12.2021</u>	<u>31.12.2020</u>
დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებულებები ფასს 4-ის მოქმედების სფეროში		
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	2,782,115	2,898,735
	<u>2,782,115</u>	<u>2,898,735</u>
დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებულებები, რომელიც არ არის ფასს 4-ის მოქმედების სფეროში		
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	1,300,541	1,376,263
ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ	155,184	362,741
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	7,088	13,875
	<u>1,462,813</u>	<u>1,752,879</u>
სულ დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებულებების საბალანსო ღირებულება	<u>4,244,928</u>	<u>4,651,614</u>
სულ ვალდებულებები	<u>4,485,057</u>	<u>4,735,639</u>
დაზღვევასთან დაკავშირებული ვალდებულებების წილი მთლიანი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში	95%	98%

იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არ გამოიყენებდა გადავადებულ მიდგომას და მოახდენდა ფასს 9-ის გამოყენებას, მისი ეფექტი 2021 და 2020 წლების 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალზე იქნებოდა არაარსებითი.

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებზე. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ორგანიზაციას უფლება გადავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

სხვა

კომპანიას არ გააჩნია მოლოდინი, რომ ბასსკ-ის მიერ გამოშვებული სხვა რომელიმე სტანდარტს, რომელიც ჯერ არ არის ძალაში შესული, ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი შეფასებები და დაშვებები

ა) სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზარალები

დაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზარალების ვალდებულების განსაზღვრა კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებაა. გარკვეული განუსაზღვრელობა არსებობს ზარალების გადახდის ვალდებულების შეფასებისას.

დაზღვევის კონტრაქტებისთვის, შეფასებები უნდა გაკეთდეს როგორც საანგარიშგებო თარიღისთვის განცხადებული მოსალოდნელი ზარალების, ისე განუცხადებელი ზარალებისთვის. ზარალების ზუსტი საბოლოო მოცულობის განსაზღვრა შესაძლოა დიდი პერიოდის გასვლის შემდეგ მოხდეს. დაზღვევის კონტრაქტების შედეგად წარმოშობილი ზარალების დისკონტირება არ ხდება. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ზარალების რეზერვების შეფასების მეთოდოლოგია იხილეთ 26-ე შენიშვნაში.

ბ) დაზღვევიდან და გადაზღვევიდან წარმოშობილი მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი

კომპანია აფასებს დაზღვევის და გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილ მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუარესება.

გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს მოთხოვნების პორტფელის მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური მოთხოვნის მომავალ ფულად ნაკადებს.

გ) სასამართლო დავები

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს.

მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს შეფასების იმ შედეგებისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. რისკების მართვა

რისკების მართვა სადაზღვევო საქმიანობაში არსებითი ელემენტია. რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები. ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს სადაზღვევო პოლისის მფლობელების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგება კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისთვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და სადაზღვევო პოლისის მფლობელთა, რეგულატორთა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

კომპანია ცდილობს კაპიტალის სტრუქტურისა და წყაროს ოპტიმიზაციას, რათა მუდმივად შეძლოს კაპიტალისა და პოლისის მფლობელთათვის უკუგების გაუმჯობესება. კომპანიის კაპიტალის მართვისადმი მიდგომა მოიცავს აქტივების, ვალდებულებებისა და რისკების კოორდინირებულ მართვას, არსებული და მოთხოვნილი კაპიტალის ოდენობის მუდმივი შეფასებით და შესაბამისი ზომების მიღებით, რათა გავლენა მოახდინოს კომპანიის კაპიტალის პოზიციაზე.

მარეგულირებელი ორგანოს მოთხოვნები

საქართველოში სადაზღვევო სექტორს არეგულირებს „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“, რომელიც აწესებს მოთხოვნებს კაპიტალის მინიმალური ოდენობის შესახებ. აღნიშნული მოთხოვნების მიზანია საკმარისი გადახდისუნარიანობის მარჯის უზრუნველყოფა.

„ზედამხედველობის სამსახურის“ 2017 წლის 25 დეკემბრის ბრძანების №27 თანახმად, 2018 წლის 31 დეკემბრიდან მზღვეველისთვის სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 4,200 ათას ლარზე ან გადახდისუნარიანობის მარჯის 1/3-ზე ნაკლები. აღნიშნული თანხა უნდა ფლობილი იყოს ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ან საბანკო ნაშთების სახით.

კომპანია ახორციელებს, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საკუთარი კაპიტალის კორექტირებას, რათა მოხდეს საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშება.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 16 სექტემბრის №15 და №16 ბრძანებების საფუძველზე განისაზღვრა გადახდისუნარიანობის მარჯის და საზედამხედველო კაპიტალის ცნება. ბრძანებებით ასევე განსაზღვრულია გადახდისუნარიანობის მარჯის და საზედამხედველო კაპიტალის თანაფარდობის საკითხი. 2017 წელი წარმოადგენს გარდამავალ პერიოდს ზემოთ ხსენებული რეგულაციების დასაკმაყოფილებლად, მოთხოვნების დაკმაყოფილების ვადები განისაზღვრა შემდეგნაირად:

- საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს სულ მცირე, გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობის ან 4,200 ათასი ლარის ტოლი, 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე;
- საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს სულ მცირე, გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობის ან 7,200 ათასი ლარის ტოლი, 2021 წლის 31 დეკემბრიდან პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. რისკების მართვა (გაგრძელება)

საზედამხედველო კაპიტალი განისაზღვრება ფასს-ებით განსაზღვრული კაპიტალის მიხედვით, რომელიც კორექტირდება, მაგალითად, ინვესტიციებით შვილობილ ორგანიზაციებში ან მოკავშირე საწარმოებში, არაუზრუნველყოფილი და უზრუნველყოფილი სესხებით და ა.შ. „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ №16 ბრძანების შესაბამისად. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნას.

სადაზღვევო რისკების მართვა

სადაზღვევო ხელშეკრულების რისკი არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის რისკი, რომელიც მოიცავს რისკის მოცულობისა და გაცხადების პერიოდის რისკებს. კომპანიის ძირითადი რისკი ასეთ დროს არის ის, რომ ფაქტიური ზარალისა და სადაზღვევო თანხის სიდიდე შეიძლება აღემატებოდეს სადაზღვევო ვალდებულებათა საბალანსო ღირებულებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ზარალების სიხშირე და მათი მოცულობა შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე თავდაპირველად შეფასებული ზარალების ვალდებულება.

კომპანია რისკების განეიტრალების მიზნით, ახდენს სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიცირებას, რითიც მცირდება გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგების გავლენის რისკი პორტფელზე. რისკების განეიტრალება ხდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, ასევე, გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით.

კომპანია ადგენს ანდერრაიტინგის ღირებულებებს და შეზღუდვებს, საიდანაც განისაზღვრება, თუ ვის რა რისკის მიღება შეუძლია და რა შეზღუდვებით. აღნიშნული შეზღუდვების მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება.

კომპანია იყენებს „ზარალის კოეფიციენტს“ სადაზღვევო რისკების მონიტორინგის მიზნით. კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო ზარალების გაყოფით წმინდა სადაზღვევო შემოსავალზე.

კომპანიის ზარალის კოეფიციენტი შემდეგია:

	<u>2021</u>	<u>2020</u>
ზარალის კოეფიციენტი	43%	59%

კომპანიის მიერ განხორციელებული დაზღვევა მოიცავს სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებების, სამედიცინო, ქონების, ტვირთების, სამოგზაურო, პასუხისმგებლობის, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევას. ამგვარი ტიპის დაზღვევები, ძირითადად, 12-თვიანია.

ქონების დაზღვევის კონტრაქტებისთვის ყველაზე არსებით რისკს წარმოადგენს სტიქიური მოვლენები და ხანძარი. სამედიცინო დაზღვევის კონტრაქტებისთვის, ყველაზე არსებითი რისკი წარმოიქმნება ცხოვრების სტილის შეცვლის, დაზღვეულ პირთა მასიური დაავადებების შედეგად და ა.შ. რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის ადგილის, სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პორტფელის თანხების არასათანადო თანაფარდობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე.

ზემოთ აღნიშნული რისკის დონე მცირდება სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიკაციით. რისკი ნეიტრალდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, რომელიც უზრუნველყოფს რისკების დაყოფას სახეობებისა და სადაზღვევო თანხების მიხედვით. ეს მიიღწევა ინდუსტრიების მიხედვით დაყოფის გზით. გარდა ამისა, ზარალის განხილვის მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე ზარალის შესაფასებლად, ზარალების დარეგულირების პროცედურების რეგულარული დეტალური განხილვა და შესაძლო თაღლითური ზარალების ხშირი გამოძიება წარმოადგენს კომპანიის რისკების დონის შემცირების პროცედურებს. კომპანია იყენებს ასევე ზარალების მართვისა და დარეგულირების პოლიტიკას, რათა შეამციროს მომავალი გაუთვალისწინებელი მოვლენების უარყოფითი გავლენა მის საქმიანობაზე. კომპანია ასევე ზღუდავს რისკის დონეს გარკვეულ კონტრაქტებზე ზარალის მაქსიმალური სიდიდის დაწესებით, ასევე გადაზღვევის შეთანხმებების გამოყენებით, რათა შეამციროს კატასტროფულ მოვლენებთან დაკავშირებული რისკი, მაგალითად, ქარიშხლით, მიწისძვრითა და წყალდიდობით გამოწვეული ზარალები.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ბიზნესის მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, სადაზღვევო პორტფელი მგრძობიარეა ძირითადად ზარალიანობის კოეფიციენტის მოსალოდნელი ცვალებადობის მიმართ. კომპანიის ზარალიანობის კოეფიციენტის ფაქტიურ მაჩვენებელს სხვა ფაქტორებთან ერთად ითვალისწინებს მომავალში სადაზღვევო ტარიფების ფორმირებისას.

4. რისკების მართვა (გაგრძელება)

სადაზღვევო რისკის კონცენტრაცია

სადაზღვევო რისკის კონცენტრაცია არსებობს ისეთ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ შემთხვევას ან შემთხვევათა ჯგუფს აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ვალდებულებებზე. ასეთი კონცენტრაცია შეიძლება წარმოიშვას ერთ სადაზღვევო კონტრაქტზე ან/და სადაზღვევო კონტრაქტების ერთობლიობაზე. რისკის კონცენტრაციის სამართავად კომპანია იყენებს გადაზღვევას. ხელმძღვანელობის შეფასების სადაზღვევი რისკების კონცენტრაციას გამოხატავს გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის განაწილება სახეობების მიხედვით. იხილეთ მე-6 განმარტებითი შენიშვნა.

განუსაზღვრელობების საფუძველი მომავალში ასანაზღაურებელი ზარალების შეფასებისას

სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ზარალების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მათი ფაქტიურად მოხდენის მომენტში. არსებობს რამდენიმე ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს სადაზღვევო გარიგებების შედეგად წარმოშობილი ფულადი ნაკადების მოცულობასა და დროულობაზე. ეს განუსაზღვრელობები ძირითადად უკავშირდება დაზღვეული სექტორის თანდაყოლილ, შიდა რისკს, და კომპანიის მიერ მიღებულ და განხორციელებულ რისკის მართვის პროცედურებს.

ზარალების შეფასებული ღირებულება მოიცავს ზარალების დაფარვისთვის საჭირო პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც შემცირებულია მესამე მხარის მიერ გადასახდელი თანხებით. კომპანია ყველანაირად ცდილობს, დარწმუნდეს, რომ მას გააჩნია საკმარისი ინფორმაცია სადაზღვევო ზარალების წარმოშობის შესახებ. მიუხედავად ამისა, სადაზღვევო ზარალების რეზერვებთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების გათვალისწინებით, როგორც წესი, საბოლოო, ფაქტიური შედეგი განსხვავდება კომპანიის მიერ შეფასებული თავდაპირველი ვალდებულებისგან.

სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულება მოიცავს მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვს, და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვს.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის შეფასება, როგორც წესი, დაკავშირებულია მთელ რიგ განუსაზღვრელობებთან, განსხვავებით იმ ზარალების ღირებულების შეფასებისგან, რომელთა შესახებაც კომპანიას ინფორმაცია გააჩნია.

ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია შეფასებულ ზარალებს ტესტავს ადეკვატრობაზე: კომპანია განსაზღვრავს, ზარალების შეფასებული ვალდებულებები არის თუ არა ნაკლები ზარალების მოსალოდნელ ანაზღაურებაზე. თუ მოსალოდნელი ანაზღაურება შექმნილ ანარიცხებზე მეტი აღმოჩნდა, მაშინ კომპანია მთელ უკმარ თანხას აღიარებს მოგებაში ან ზარალში და გაზრდის შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას. დეფიციტის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში. 2021 და 2020 წლების განმავლობაში დანაკლისი არ გამოვლენილა და ამიტომ არ გამხდარა საჭირო დამატებითი ამოუწურავი რისკის რეზერვის შექმნა.

ფინანსური რისკების მართვა

კომპანია, თავისი საქმიანობის მანძილზე, დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი
 - *სავალუტო რისკი*
 - *საპროცენტო რისკი*

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. რისკების მართვა (გაგრძელება)

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შესაძლოა ფინანსური რისკის წინაშე იდგეს, შემდეგია:

	31.12.2021	31.12.2020
ფული და ფულის ეკვივალენტები	236,948	649,774
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	7,745,105	5,291,678
სხვა აქტივები	156,610	197,374
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	2,097,023	1,553,906
გადაზღვევის აქტივები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	84,760	84,760
გაცემული სესხები	57,200	-
სულ ფინანსური აქტივები	10,377,646	7,777,492
სხვა ვალდებულებები	549,726	606,420
ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ	155,184	362,741
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	1,031,654	1,311,028
საიჯარო ვალდებულებები	575,333	803,924
სულ ფინანსური ვალდებულებები	2,311,897	3,084,113

რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოთხოვნს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

კომპანიას არ გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც მათი დანიშნულებიდან გამომდინარე შეფასებული უნდა იყოს რეალური ღირებულებით. შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, ხოლო სხვა ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-2 და მე-3 დონის მიხედვით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი (დამზღვევი, გადამზღვეველი) ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საქართველოს ბაზარზე არსებული მომხმარებლებისთვის სადაზღვევო პროდუქტის რეალიზაციასთან (გადახდის გადავადება) და დამოკიდებულია თითოეული მომხმარებლის გადახდისუნარიანობაზე.

რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ახდენს ყოველი ახალი დამზღვევის შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე. კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელია მესამე მხარის მიერ მისი შეფასება/დახასიათება (ამ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში), და ზოგიერთ შემთხვევაში, საბანკო ისტორია. ლიმიტების დაწესება ხდება თითოეული მომხმარებლისთვის ინდივიდუალურად.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. რისკების მართვა (გაგრძელება)

მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგისას ხდება მომხმარებლების დაჯგუფება მათი საკრედიტო ისტორიების, სახეობების (ინდივიდუალური თუ იურიდიული პირები) გეოგრაფიული არეების, ინდუსტრიის მიხედვით და ა.შ. „მაღალი რისკის“ მქონე მომხმარებლების დაჯგუფება ხდება ცალკე და მათთან შემდგომი თანამშრომლობა ძირითადად ხორციელდება წინასწარი გადახდების საფუძველზე.

კომპანია დებიტორული და სხვა დავალიანებებისთვის ქმნის გაუფასურების ანარიცხს, რომელიც წარმოადგენს მომავალი ზარალის საუკეთესო შეფასებას. ანარიცხები წარმოადგენს ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნების ვადაგადაცილების ანალიზით შექმნილ რეზერვებს.

გადაზღვევა

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას აქვს გადაზღვევის პრაქტიკა, იგი არ თავისუფლდება პოლისების მფლობელების მიმართ ნაკისრი პირდაპირი მოვალეობებისგან და ამრიგად საკრედიტო რისკი არსებობს გადაცემული საქმიანობის შემთხვევაშიც, თუკი რომელიმე გადამზღვეველი ვერ შეასრულებს მის ვალდებულებებს ასეთი გადაზღვევის ხელშეკრულებების ფარგლებში. კომპანია არ არის დამოკიდებული რომელიმე გადამზღვეველზე და კომპანიის საქმიანობა არ არის არსებითად დამოკიდებული რომელიმე გადაზღვევის ხელშეკრულებაზე.

კომპანია აფასებს თავისი გადამზღვევლების ფინანსურ მდგომარეობას და აკონტროლებს საკრედიტო რისკების კონცენტრაციას მსგავს გეოგრაფიულ რეგიონებზე, საქმიანობაზე, ან მზღვეველთა ეკონომიკურ მახასიათებლებზე, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს გადამზღვევლების მხრიდან მოვალეობების შეუსრულებლობით გამოწვეული შესაძლო ზარალი.

კომპანია ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკს მართავს ვადაგადაცილების ანალიზის მიხედვით. სადაზღვევო მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2021	მიმდინარე	0-90 დღე	91-180 დღე	181-270 დღე	271-365 დღე	365 დღეზე მეტი	სულ
ზარალების ალბათობა	0%	0%	10%	30%	50%	100%	
საბალანსო ღირებულება	1,927,556	147,566	14,056	7,410	8,127	12,102	2,116,817
გაუფასურების ანარიცხი	-	-	(1,406)	(2,222)	(4,064)	(12,102)	(19,794)
წმინდა მოთხოვნები	1,927,556	147,566	12,650	5,188	4,063	-	2,097,023
31.12.2020	მიმდინარე	0-90 დღე	91-180 დღე	181-270 დღე	271-365 დღე	365 დღეზე მეტი	სულ
ზარალების ალბათობა	0%	0%	10%	30%	50%	100%	
საბალანსო ღირებულება	1,312,233	140,475	45,725	35,379	70,562	1,185,410	2,789,784
გაუფასურების ანარიცხი	-	-	(4,573)	(10,614)	(35,281)	(1,185,410)	(1,235,878)
წმინდა მოთხოვნები	1,312,233	140,475	41,152	24,765	35,281	-	1,553,906

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. რისკების მართვა (გაგრძელება)

რეგრესიდან წარმოქმნილი მოთხოვნების ვადიანობის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2021	მიმდინარე	0-30 დღე	31-60 დღე	61-90 დღე	91-120 დღე	121-365 დღე	365 დღეზე მეტი	სულ
ზარალების ალბათობა	0%	0%	5%	10%	30%	50%	100%	
საბალანსო ღირებულება	-	11,219	17,335	20,072	65,109	130,566	617,474	861,775
გაუფასურების ანარიცხი	-	-	(868)	(2,007)	(19,533)	(65,283)	(617,474)	(705,165)
წმინდა მოთხოვნები რეგრესიდან	-	11,219	16,467	18,065	45,576	65,283	-	156,610

31.12.2020	მიმდინარე	0-30 დღე	31-60 დღე	61-90 დღე	91-120 დღე	121-365 დღე	365 დღეზე მეტი	სულ
ზარალების ალბათობა	0%	0%	5%	10%	30%	50%	100%	
საბალანსო ღირებულება	-	43,100	26,500	49,594	68,821	72,579	704,715	965,309
გაუფასურების ანარიცხი	-	-	(1,325)	(4,959)	(20,646)	(36,290)	(704,715)	(767,935)
წმინდა მოთხოვნები რეგრესიდან	-	43,100	25,175	44,635	48,175	36,289	-	197,374

კომპანიის სხვა ფინანსური აქტივები წარმოადგენს „არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული“ აქტივების კატეგორიას 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ლიკვიდურობის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2021	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები	549,726	-	-	549,726
ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ	155,184	-	-	155,184
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	1,031,654	-	-	1,031,654
საიჯარო ვალდებულებები	258,397	378,012	-	636,409
	1,994,961	378,012	-	2,372,973

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. რისკების მართვა (გაგრძელება)

2020	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები	606,420	-	-	606,420
ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ	362,741	-	-	362,741
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	1,311,028	-	-	1,311,028
საიჯარო ვალდებულებები	243,749	642,999	-	886,748
	2,523,938	642,999	-	3,166,937

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობება პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

• **საპროცენტო რისკი**

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან/ვალდებულებებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივები/ვალდებულებები.

• **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

სავალუტო რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2021	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	234,101	2,847	-	236,948
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	270,000	7,475,105	-	7,745,105
სხვა აქტივები	156,610	-	-	156,610
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	1,190,602	876,862	29,559	2,097,023
გადაზღვევის აქტივები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	84,760	-	-	84,760
გაცემული სესხები	57,200	-	-	57,200
	1,993,273	8,354,814	29,559	10,377,646
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	501,468	45,785	2,473	549,726
ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ	-	147,885	7,299	155,184
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	1,031,654	-	-	1,031,654
საიჯარო ვალდებულებები	18,526	556,807	-	575,333
	1,551,648	750,477	9,772	2,311,897
ღია სავალუტო პოზიცია	441,625	7,604,337	19,787	

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. რისკების მართვა (გაგრძელება)

2020	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	403,344	246,430	-	649,774
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	270,000	5,021,678	-	5,291,678
სხვა აქტივები	197,374	-	-	197,374
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	491,340	1,044,390	18,176	1,553,906
გადაზღვევის აქტივები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	84,760	-	-	84,760
	1,446,818	6,312,498	18,176	7,777,492
ფინანსური ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები	606,420	-	-	606,420
ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ	-	362,741	-	362,741
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები (გარდა გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვისა)	1,311,028	-	-	1,311,028
საიჯარო ვალდებულებები	62,053	741,871	-	803,924
	1,979,501	1,104,612	-	3,084,113
ღია სავალუტო პოზიცია	(532,683)	5,207,886	18,176	

სავალუტო რისკის მგრძობელობა

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის აშშ დოლარის და ევროს მგრძობელობას ლართან მიმართებაში, 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და ხელმძღვანელობის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისთვის მათ ეფექტს 20%-იანი ცვლილებით.

წმინდა მოგებასა/ (ზარალსა) და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია:

2021	აშშ დოლარი		ევრო	
	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	1,520,867	(1,520,867)	3,957	(3,957)
2020	აშშ დოლარი		ევრო	
	20%	- 20%	20%	- 20%
მოგება/(ზარალი)	1,041,577	(1,041,577)	3,635	(3,635)

5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია

კომპანიის ხელმძღვანელობამ 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის განახორციელა გარკვეული ნებაყოფლობითი ცვლილებები. კონკრეტულად, ხელმძღვანელობამ განახორციელა ცვლილებები შემდეგ საკითხზე - "საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების" მუხლს გამოეყო „თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი“, ასევე „გაუფასურებისა და ჩამოწერის ხარჯს“ გამოეყო რეგრესიდან მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება და წარდგა, როგორც „სადაზღვევო ზარალები და ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში“. ასევე, "საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების" კლასიფიცირდა, როგორც „სხვა ხარჯები“.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია (გაგრძელება)

წინა პერიოდის რეკლასიფიკაციის გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020 გადაანგარიშებამდე	რეკლასიფიკაცია	2020 გადაანგარიშებული
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,014,289)	1,745,989	(1,268,300)
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი	-	(1,745,989)	(1,745,989)
გაუფასურების და ჩამოწერის ხარჯი	(1,002,980)	270,436	(732,544)
სადაზღვევო ზარალები და ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში	(3,179,121)	(270,436)	(3,449,557)

6. წმინდა გამომუშავებული პრემია

2021	მოზიდული პრემია	გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია	წმინდა ცვლილება გამომუშავებული პრემიის რეზერვში	წმინდა გამომუშავებული პრემია
ავტოსატრანსპორტო	1,829,768	(28,793)	1,800,975	(72,433)	1,728,542
საშუალებათა დაზღვევა	1,275,348	-	1,275,348	(19,942)	1,255,406
სავალდებულო დაზღვევა*	931,565	-	931,565	(47,103)	884,462
სამედიცინო დაზღვევა	359,795	-	359,795	(4,300)	355,495
ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	314,165	-	314,165	5,942	320,107
კონტინენტების დაზღვევა	252,204	(84,376)	167,828	20,643	188,471
პასუხისმგებლობის დაზღვევა	164,888	(49,845)	115,043	1,721	116,764
ტვირთების დაზღვევა	113,675	(28,701)	84,974	(35,763)	49,211
ქონების დაზღვევა	112,071	-	112,071	-	112,071
აგროდაზღვევა	5,298	-	5,298	(563)	4,735
სამოზგაურო დაზღვევა	5,358,777	(191,715)	5,167,062	(151,798)	5,015,264

2020	მოზიდული პრემია	გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	წმინდა მოზიდული პრემია	წმინდა ცვლილება გამომუშავებული პრემიის რეზერვში	წმინდა გამომუშავებული პრემია
ავტოსატრანსპორტო	2,316,471	-	2,316,471	(149,505)	2,166,966
საშუალებათა დაზღვევა	1,202,900	-	1,202,900	44,584	1,247,484
სავალდებულო დაზღვევა*	1,199,552	-	1,199,552	109,052	1,308,604
სამედიცინო დაზღვევა	397,249	-	397,249	(818)	396,431
კონტინენტების დაზღვევა	291,672	-	291,672	(82,918)	208,754
ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	287,163	(92,898)	194,265	8,604	202,869
პასუხისმგებლობის დაზღვევა	120,551	(22,434)	98,117	(2,739)	95,378
ტვირთების დაზღვევა	102,445	(68,248)	34,197	78,431	112,628
ქონების დაზღვევა	5,192	-	5,192	3,080	8,272
სამოზგაურო დაზღვევა	5,923,195	(183,580)	5,739,615	7,771	5,747,386

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

6. წმინდა გამომუშავებული პრემია (გაგრძელება)

(*) - კომპანია 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ საშუალებით განხორციელებულ თანადაზღვევის სისტემაში მონაწილე მზღვეველს.

სავალდებულო დაზღვევის არსი მდგომარეობს შემდეგში: უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი/მძღოლი ვალდებულია დააზღვიოს თავისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა მის მფლობელობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე საქართველოს ტერიტორიაზე მისი ყოფნის სრული პერიოდით. სავალდებულო დაზღვევით ნაზღაურდება ამ ავტოსატრანსპორტო საშუალების მონაწილეობით და მისგან გამომდინარე დამდგარი სადაზღვევო შემთხვევის შედეგად გამოწვეული ზიანი.

7. წმინდა სადაზღვევო ზარალები

	2021	2020
დარეგულირებული ზარალები	(2,998,185)	(3,027,835)
ზარალების რეზერვებში ბრუტო ცვლილება	279,374	(487,355)
რეგრესები და გადარჩენილი ქონება	576,936	65,633
სადაზღვევო ზარალები და ცვლილება ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში	(2,141,875)	(3,449,557)
ზარალების რეზერვების ცვლილებაში გადამზღვეველის წილი	-	74,366
გადამზღვეველის წილი სადაზღვევო ზარალებში და ცვლილებაში ზარალებთან დაკავშირებულ სადაზღვევო ვალდებულებებში	-	74,366
წმინდა სადაზღვევო ზარალები	(2,141,875)	(3,375,191)

8. აკვიზიციის ხარჯები

	2021	2020
მიმდინარე წლის გადავადებული აკვიზიციის ხარჯი (შენიშვნა 16)	(389,943)	(367,363)
მიმდინარე პერიოდის მოზიდვიდან გადავადებული აკვიზიციის ხარჯები	162,018	156,769
წინა პერიოდის გადავადების ამორტიზაცია	(148,935)	(125,778)
	(376,860)	(336,372)

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

9. სხვა ხარჯები

	2021	2020
ცვეთა და ამორტიზაცია	(292,345)	(293,846)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები *	(250,723)	(258,071)
სავალდებულო დაზღვევის ცენტრის ხარჯი	(215,883)	(175,832)
მოკლევადიანი იჯარის ხარჯები	(117,357)	(59,141)
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	(95,038)	(86,257)
მარკეტინგული ხარჯები	(88,979)	(34,097)
მოვლისა და შეკეთების ხარჯები	(84,536)	(26,333)
საოფისე ხარჯები	(65,808)	(60,160)
საწვავის ხარჯები	(65,467)	(27,781)
მივლინების ხარჯები	(56,368)	(14,085)
საბანკო ხარჯები	(10,165)	(14,127)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(3,368)	(32,028)
საქველმოქმეობ ხარჯი	-	(20,000)
სხვა ხარჯები	(116,520)	(166,542)
	(1,462,557)	(1,268,300)

(*) – 2021 წელს დარიცხული აუდიტის ხარჯები შეადგენს 55,525 ლარს. (2020: 50,797 ლარი).

10. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
მიმდინარე მოგების გადასახადი	-	(48,112)
დროებითი სხვაობის ეფექტი	(10,862)	20,053
	(10,862)	(28,059)
	2021	2020
ზარალი დაბეგრამდე	(430,616)	(967,567)
მოგების გადასახადის განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის სარგებელი	64,592	145,135
აუღიარებელი დაგროვილი ზარალი	(64,592)	-
მუდმივი სხვაობების ეფექტი*	(10,862)	(173,194)
	(10,862)	(28,059)

(*) - მუდმივი სხვაობის ეფექტი ძირითადად უკავშირდება უიმედო და საექვო დებიტორული დავალიანების ხარჯებს, რომელთა გამოქვითვას კომპანია მოგების გადასახადის მიზნებისთვის არ ახდენს.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

10. მოგების გადასახადის ხარჯი (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება) წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დროებითი სხვაობების ეფექტი	31.12.2019	აღრიცხული მოგება/ზარალში	31.12.2020	აღრიცხული მოგება/ზარალში	31.12.2021
ძირითადი საშუალებები	(9,606)	746	(8,860)	(26,475)	(35,335)
არამატერიალური აქტივები	(3,616)	1,535	(2,081)	1,436	(645)
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	-	-	-	-	-
წინა წლების ზარალი	-	-	-	-	-
აქტივების გამოყენების უფლება	(157,809)	59,024	(98,785)	27,154	(71,631)
საიჯარო ვალდებულება	161,840	(41,252)	120,588	(34,289)	86,299
საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	(9,191)	20,053	10,862	(32,174)	(21,312)
აუღიარებელი დროებითი სხვაობები					
ძირითადი საშუალებები	-	-	-	35,335	35,335
არამატერიალური აქტივები	-	-	-	646	646
აქტივების გამოყენების უფლება	-	-	-	71,631	71,631
საიჯარო ვალდებულება	-	-	-	(86,300)	(86,300)
სულ აუღიარებელი დროებითი სხვაობები	-	-	-	21,312	21,312
წმინდა საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	(9,191)	20,053	10,862	(10,862)	-

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2021	31.12.2020
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	171,716	629,333
ფული სალაროში	65,232	20,441
	236,948	649,774

ფულის და ფულის ეკვივალენტების სტრუქტურა ვალუტების მიხედვით მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

12. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები

	31.12.2021	31.12.2020
ძირი:		
სს "პროკრედიტ ბანკი"	4,925,184	2,326,386
სს "საქართველოს ბანკი"	1,920,512	2,031,492
სს "ხალიკ ბანკი საქართველო"	889,520	925,320
დარიცხული პროცენტი:	9,889	8,480
	7,745,105	5,291,678

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები მოიცავს დეპოზიტებს საქართველოს რეზიდენტ ბანკებში.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

12. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები (გაგრძელება)

კომპანიას მოთხოვნა საბანკო დაწესებულებებში დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) და ფულადი სახსრების ქონა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია კომპანიის მიერ შეფასებულ ასანაზღაურებელი ზარალების (სადაზღვევო ვალდებულებების) სიდიდეზე. კომპანიის უფლება ამგვარი დეპოზიტის თავისუფალ განკარგვასთან დაკავშირებით იზღუდება კანონმდებლობით. დაფარვის ვადების და ვალუტების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

13. სხვა აქტივები

	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები რეგრესიდან *	156,610	197,374
წინასწარ გაწეული ხარჯები	124,660	124,660
გადახდილი ავანსები	43,530	55,047
გადარჩენილი ქონება	21,770	88,924
სხვა	67,432	33,703
	414,002	499,708

(*) - მოთხოვნები რეგრესიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები რეგრესიდან გაუფასურებამდე	861,775	965,309
გაუფასურების ანარიცხი	(705,165)	(767,935)
მოთხოვნები რეგრესიდან, წმინდა	156,610	197,374

გაუფასურების ანარიცხის ცვლილება მოთხოვნებზე რეგრესიდან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
გაუფასურების ანარიცხები 1 იანვარისთვის	(767,935)	(497,499)
ანარიცხის ზრდა	(105,872)	(285,652)
ანარიცხის ჩამოწერა	168,642	15,216
გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბრისთვის	(705,165)	(767,935)

14. მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან

	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები პოლისის მფლობელების მიმართ	2,088,469	2,731,507
მოთხოვნები გადამზღვეველის მიმართ	28,348	58,277
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან გაუფასურებამდე	2,116,817	2,789,784
გაუფასურების ანარიცხი სადაზღვევო მოთხოვნებზე	(19,794)	(1,235,878)
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან, წმინდა	2,097,023	1,553,906

გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
გაუფასურების ანარიცხები 1 იანვარისთვის	(1,235,878)	(494,385)
ანარიცხების შემცირება საეჭვო მოთხოვნებზე	468,824	(741,493)
ანარიცხის ჩამოწერა	747,260	-
გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბრისთვის	(19,794)	(1,235,878)

კომპანია ვადადამდგარ მოთხოვნებზე ქმნის გაუფასურების ანარიცხს. მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები

	31.12.2021	31.12.2020
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	1,750,461	1,587,707
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	798,190	1,059,225
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	233,464	251,803
	2,782,115	2,898,735
გადაზღვევის აქტივები		
გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	43,836	32,880
გადამზღვევლის წილი განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვში	76,129	76,559
გადამზღვევლის წილი მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვში	8,631	8,201
	128,596	117,640
გადამზღვევლის წილით შემცირებული სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	1,706,625	1,554,827
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი	722,061	982,666
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი	224,833	243,602
	2,653,519	2,781,095
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი		
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი	31.12.2021	31.12.2020
ნაშთი 1 იანვრისთვის	1,587,707	1,622,944
მოზიდული პრემია	5,358,777	5,923,195
გამომუშავებული პრემია	(5,196,023)	(5,958,432)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	1,750,461	1,587,707
გადამზღვევლის წილი გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		
ნაშთი 1 იანვრისთვის	32,880	60,346
გადამზღვევლის წილი მოზიდულ პრემიაში	191,715	183,580
გამომუშავებულ პრემიაში გადამზღვევლის წილი	(180,759)	(211,046)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	43,836	32,880
გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, წმინდა		
ნაშთი 1 იანვრისთვის	1,554,827	1,562,598
მოზიდული პრემია, წმინდა	5,167,062	5,739,615
წმინდა გამომუშავებული პრემია	(5,015,264)	(5,747,386)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	1,706,625	1,554,827

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები – ძირითადი პირობები და დაშვებები

სადაზღვევო კონტრაქტები

(1) ძირითადი პირობები

სადაზღვევო კონტრაქტებისთვის სადაზღვევო რეზერვები (მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი და განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი) განისაზღვრება ვალდებულებების საბოლოო ღირებულების დასაფარად იმ ზარალთან მიმართებაში, რომელიც უკვე მომხდარია და ფასდება საანგარიშგებო თარიღისთვის ცნობილი ფაქტების საფუძველზე. რეზერვების ხელახალი შეფასება ხდება რეგულარულად, ზარალების მოხდენის ტენდენციის, ასევე მათი დაფარვის გათვალისწინებით. სადაზღვევო ზარალების რეზერვების თანხის დისკონტირება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში არ ხდება.

(2) ძირითადი დაშვებები

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის გაანგარიშების შესახებ, ვალდებულებათა ადეკვატურობის ტესტის ჩათვლით, ინფორმაცია მოცემულია 26-ე შენიშვნაში (კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა, სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები).

(3) მოსალოდნელი ზარალის შეფასების მეთოდი (ე. წ. სამკუთხედის მეთოდი)

ქვემოთ მოცემულ ორ ცხრილში წარმოდგენილია გარკვეული დროის განმავლობაში ზარალების მოცულობის განვითარება ბრუტო და ნეტო გადაზღვევის საფუძველზე. ცხრილები ასახავს როგორც განუცხადებელი ზარალების, ისე მომხდარი, მაგრამ ჯერ განუცხადებელი ზარალების რეზერვებს და კუმულაციურ გადახდებს. ცხრილებში პროგნოზირებული ზარალები მოცემულია ლარში ზარალის დადგომის დროს მოქმედი სავალუტო კურსით.

გადაზღვევის ეფექტის გათვალისწინებამდე ზარალის შეფასების ცხრილი ასე გამოიყურება:

	2018	2019	2020	2021
ზარალის დადგომის წელიწადი	4,729,509	3,877,202	3,822,131	2,840,568
ერთი წლის შემდეგ	4,285,392	3,570,664	3,610,757	
ორი წლის შემდეგ	4,284,989	3,559,700		
სამი წლის შემდეგ	4,385,570			
მომხდარი კუმულაციური ზარალის მიმდინარე შეფასება	4,385,570	3,559,700	3,610,757	2,840,568
ზარალის დადგომის წელიწადი	(3,872,120)	(3,070,078)	(2,569,993)	(2,046,733)
ერთი წლის შემდეგ	(4,268,842)	(3,524,230)	(3,446,634)	
ორი წლის შემდეგ	(4,272,533)	(3,559,700)		
სამი წლის შემდეგ	(4,311,874)			
კუმულაციური გადახდები დღევანდელ თარიღამდე	(4,311,874)	(3,559,700)	(3,446,634)	(2,046,733)
მთლიანი ასანაზღაურებული ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის თითოეული ანგარიშგებისთვის	73,696	-	164,123	793,835
ნამეტის/(დევციტის) მიმდინარე შეფასება	343,939	317,502	211,374	
	7%	8%	6%	

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

15. სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივები (გაგრძელება)

გადაზღვევის ეფექტის გათვალისწინების შემდეგ ზარალის შეფასების ცხრილი ასე გამოიყურება:

	2018	2019	2020	2021
ზარალის დადგომის წელიწადი	4,719,621	3,866,808	3,737,371	2,755,808
ერთი წლის შემდეგ	4,285,392	3,570,664	3,610,757	
ორი წლის შემდეგ	4,284,989	3,559,700		
სამი წლის შემდეგ	4,385,570			
მომხდარი კუმულაციური ზარალის მიმდინარე შეფასება	4,385,570	3,559,700	3,610,757	2,755,808
ზარალის დადგომის წელიწადი	(3,872,120)	(3,070,078)	(2,569,993)	(2,046,733)
ერთი წლის შემდეგ	(4,268,842)	(3,524,230)	(3,446,634)	
ორი წლის შემდეგ	(4,272,533)	(3,559,700)		
სამი წლის შემდეგ	(4,311,874)			
კუმულაციური გადახდები დღევანდელ თარიღამდე	(4,311,874)	(3,559,700)	(3,446,634)	(2,046,733)
მთლიანი ანაზღაურებული ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის თითოეული ანგარიშგებისთვის ნამეტის/(დეფიციტის) მიმდინარე შეფასება	73,696	-	164,123	709,075
	334,051	307,108	126,614	
	7%	8%	3%	

16. აკვიზიციის გადავადებული ხარჯი

	2021	2020
1 იანვარი	164,795	133,804
მიმდინარე წლის გადავადებული აკვიზიციის ხარჯი (შენიშვნა 8)	389,943	367,363
ამორტიზაცია (შენიშვნა 8)	(376,860)	(336,372)
31 დეკემბერი	177,878	164,795

17. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება სააღრიცხვო და საოპერაციო პროგრამებისგან, რომელთა საბალანსო ღირებულება ჯამურად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 146,051 ლარს (108,131 ლარი - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით), დაგროვილი ამორტიზაცია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 132,317 ლარს, (2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 97,728 ლარი), ამორტიზაციის ხარჯი 2021 წელს შეადგენს 34,589 ლარს (2020 წელს 26,862 ლარი).

18. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება

კომპანიას იჯარით აღებული აქვს ფართები მომსახურების ცენტრებისთვის და ასევე, ადმინისტრაციული ოფისისთვის. ყველა აქტივის საიჯარო გადასახდელი არის ფიქსირებული. საიჯარო გადასახდელი წარმოდგენილია როგორც ლარში, ისე აშშ დოლარში.

ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. ხელმძღვანელობა გონივრულად ვარაუდობს რომ გამოიყენებს სერვის ცენტრების მოსაწყობად და ადმინისტრაციული ოფისისთვის აღებული საიჯარო ფართების შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებებით განსაზღვრული საიჯარო ვადების გაგრძელების უფლებას.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

18. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება (გაგრძელება)

იჯარების ხელშეკრულება განსაზღვრავს ფიქსირებულ საიჯარო გადასახდელს არაგაუქმებადი პერიოდისთვის, რამდენადაც გაგრძელების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად, კომპანია ამგვარი საიჯარო პერიოდისთვის იყენებს არაგაუქმებადი პერიოდისთვის განსაზღვრულ ფიქსირებულ გადასახდელს.

იჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, შეადგენს 7.79%-სა და 12.33%-ს.

აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
1 იანვარი	658,566	1,052,060
მოდიფიკაცია	-	(196,948)
ცვეთა	(181,028)	(196,546)
31 დეკემბერი	477,538	658,566

საიჯარო ვალდებულების მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021	2020
1 იანვარი	803,924	1,078,934
მოდიფიკაცია	-	(202,194)
საპროცენტო ხარჯი	53,429	72,488
საიჯარო გადასახდელი	(250,477)	(310,978)
დღგ (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	42,270	59,084
	(73,813)	106,590
31 დეკემბერი	575,333	803,924

19. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ტექნიკური და აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31.12.2019	-	8,700	224,294	196,976	137,409	567,379
შემოსვლა	-	39,395	19,684	4,991	21,843	85,913
გასვლა	-	(7,132)	-	-	(19,810)	(26,942)
31.12.2020	-	40,963	243,978	201,967	139,442	626,350
შემოსვლა	74,040	18,512	6,169	2,790	23,790	125,301
გადაფასება	132,983	-	-	-	-	132,983
31.12.2021	207,023	59,475	250,147	204,757	163,232	884,634
დაგროვილი ცვეთა						
31.12.2019	-	(3,406)	(160,220)	(70,528)	(88,447)	(322,601)
ცვეთა	-	(9,427)	(21,097)	(16,879)	(23,035)	(70,438)
გასვლა	-	3,726	-	-	8,952	12,678
31.12.2020	-	(9,107)	(181,317)	(87,407)	(102,530)	(380,361)
ცვეთა	-	(13,241)	(22,714)	(17,006)	(23,767)	(76,728)
31.12.2021	-	(22,348)	(204,031)	(104,413)	(126,297)	(457,089)
საბალანსო ღირებულება						
31.12.2020	-	31,856	62,661	114,560	36,912	245,989
31.12.2021	207,023	37,127	46,116	100,344	36,935	427,545

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

20. სააქციო კაპიტალი

	გამომგებული და სრულად გადახდილი აქციები			
	31.12.2021	31.12.2021	31.12.2020	31.12.2020
	რაოდენობა	ნომინალური თანხა	რაოდენობა	ნომინალური თანხა
ჩვეულებრივი აქციები	2,800	10,892,000	2,800	7,725,200
თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება	3,890	3,890	2,759	2,759

21. სხვა ვალდებულებები

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური ვალდებულებები		
დეპონირებული თანხები	154,843	345,470
გადასახდელი ბროკერის და აგენტის საკომისიო	154,754	176,925
სხვა ვალდებულებები	240,129	84,025
არა-ფინანსური ვალდებულებები		
გადასახდელი გადასახადები	415,611	49,944
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	7,088	13,875
	972,425	670,239

22. ვალდებულებები გადამზღვეველთა მიმართ

2021 წელს ვალდებულებები გადამზღვეველების წინაშე წარმოდგენილია შემდეგი კონტრაგენტებით: სადაზღვევო ბროკერი მალაკუტი, რომლის მიმართ ვალდებულება შეადგენს გადამზღვეველთა მიმართ ვალდებულებების 63%-ს, შპს სკორ პერესტრახოვანი - 28%, სადაზღვევო ბროკერი მაი ჯორჯია - 9%.

2020 წელს ვალდებულებები გადამზღვეველების წინაშე წარმოდგენილია შემდეგი კონტრაგენტებით: სადაზღვევო ბროკერი მალაკუტი, რომელზეც მოდის ვალდებულების 56%, გადამზღვეველი კომპანია შპს სკორ პერესტრახოვანი - 38% და სადაზღვევო ბროკერი მაი ჯორჯია - 6%.

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

	2021	2020
სრული შემოსავლის ანგარიშგება	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან
საკომისიო შემოსავალი		
სხვა*	(455)	(43,948)
სხვა ხარჯები		
უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო	(462,496)	(515,387)
სხვა*	(5,400)	(10,200)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგია:

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან		
აქციონერები	-	1,245
სხვა*	68,182	83,645
სხვა აქტივები		
სხვა*	19,310	4,702
აკვიზიციის გადავადებული ხარჯი		
სხვა*	35	15,799
სხვა ვალდებულებები		
სხვა*	28,877	26,249

(*) - სხვა დაკავშირებული მხარე წარმოადგენს საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ კომპანიებსა და კომპანიის უმაღლეს ხელმძღვანელობას.

24. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს მიმდინარე სასამართლო დავები, სადაც კომპანია წარმოადგენს მოპასუხე მხარეს. დავები დაკავშირებულია როგორც სადაზღვევო ზარალების ანაზღაურების მოთხოვნასთან, ასევე კომპენსაციასთან თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობის ფარგლებში. სარჩელის თანხა ყველა არსებული სასამართლო დავისთვის ჯამურად წარმოდგენილია 1,012,672 ლარის ღირებულებით (2020: 693,100 ლარის ღირებულებით). აღნიშნული პირობითი ვალდებულებებიდან ნაწილი - 94,000 ლარი (2020: 158,340 ლარი) ვალდებულებისა კომპანიას გადაზღვევული აქვს გადაზღვევებთან. დავების ნაწილი მიმდინარეობს პირველი ინსტანციის სასამართლოში, ხოლო ნაწილი გასაჩივრებულია და სააპელაციო სასამართლოში პროცესის დანიშვნის მოლოდინშია.

სასამართლოს პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების და დავის უარყოფითად გადაწყვეტის ალბათობის შეფასების საფუძველზე, ხელმძღვანელობა მოელის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად მათთან დაკავშირებული ანარიცხი არ არის შექმნილი აღნიშნულ სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

24. პირობითი ვალდებულებები (გაგარძელება)

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობა

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური აწესებს სხვადასხვა მოთხოვნებს სადაზღვევო კომპანიებისთვის, ამ მოთხოვნებიდან ერთ-ერთია საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დაკმაყოფილება. 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ვერ აკმაყოფილებს საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნას, რის აღმოსაფხვრელადაც აქტიურად მუშაობს.

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე

2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის საომარი მდგომარეობა არ დასრულებულა. ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე ვერ აფასებს აღნიშნული ომის გავლენას (ან შესაძლო გავლენას) კომპანიის საქმიანობაზე. მოცემულ მოვლენასთან დაკავშირებით რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ და რუსული ინვესტიციებით დაფინანსებულ კომპანიების ნაწილზე გავრცელდა სანქციები.

ზემოაღნიშნული მოვლენების გამო, კომპანიას სადაზღვევო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად ეკრძალება რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ და რუსული ინვესტიციებით შექმნილ გადამზღვეველთან ახალი გადაზღვევის ხელშეკრულების გაფორმება ან არსებული გადაზღვევის ხელშეკრულების გაგრძელება. ასევე, კომპანიას დაევალა რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ და რუსული ინვესტიციებით შექმნილ გადამზღვეველთან მოქმედი ხელშეკრულებებით გაცემული თითოეული რისკის ისეთ გადამზღვევთან გადაზღვევის გეგმის შემუშავება, რომლის მიხედვითაც სრულად იქნება დაცული 2019 წლის 6 აგვისტოს #33 ბრძანების მოთხოვნები. მოცემული ბრძანების დარღვევის შემთხვევაში კომპანია ექვემდებარება დაჯარიმებას.

კომპანიამ წარუდგინა ზედამხედველობის სამსახურს სამოქმედო გეგმა რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულ და რუსული ინვესტიციებით შექმნილ გადამზღვეველთან გაფორმებული გადაზღვევის ხელშეკრულების ჩანაცვლებასთან დაკავშირებით.

26. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

26. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.504
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
ტექნიკური აღჭურვილობა	2-5
ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	10

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

არამატერიალური აქტივები

აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

კომპანიის სააღრიცხვო პროგრამის სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 7 წელს.

აკვიზიციის გადავადებული ხარჯები (DAC)

გადავადებული აკვიზიციური ხარჯები მოიცავს გაყიდვების აგენტებისა და საბროკერო კომპანიებისთვის პოლისების გაცემისთვის გადახდილ საკომისიოს. გადავადებული აკვიზიციური ხარჯები კლასიფიცირდება, როგორც არამატერიალური აქტივები (DAC). პრემიების მოზიდვასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი ხარჯი აღიარდება, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

26. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადავადებული აკვიზიციური ხარჯები კაპიტალიზდება და ამორტიზდება წრფივი მეთოდით კონტრაქტის მოქმედების პერიოდის განმავლობაში.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანიამ უნდა შეაფასოს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის უნდა მოიცავდეს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანიამ აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით უნდა შეაფასოს.

აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

26. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივის გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება 5 წლიან პერიოდზე.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიარდეს მოგება/ზარალში.

როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია უნდა აისახოს, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღრიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივის გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.
- კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

26. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივის გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/ გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

სადაზღვევო ხელშეკრულებები

სადაზღვევო ხელშეკრულებები არის ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმების მომენტისთვის ატარებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, ან ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც გაფორმების მომენტისთვის შეიცავს კომერციული შინაარსის ისეთ სცენარს, რომლის მიხედვითაც დაზღვევის რისკი შეიძლება მნიშვნელოვანი მოცულობისა იყოს. სადაზღვევო რისკის მნიშვნელოვანი მოცულობა დამოკიდებულია როგორც დაზღვეული მოვლენის მოხდენის ალბათობაზე, ისე მისი შესაძლო ზემოქმედების მასშტაბზე.

მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებას მიაკუთვნებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კატეგორიას, იგი სადაზღვევო ხელშეკრულებად რჩება დარჩენილი ვადის განმავლობაში, მაშინაც კი, თუ ამ ხნის მანძილზე სადაზღვევო რისკი საგრძნობლად შემცირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყველა უფლება-მოვალეობა შესრულდება ან მათი ვადა ამოიწურება.

გადაზღვევის ხელშეკრულებები

სხვა მზღვეველთან (გადამზღვეველი) გაფორმებული კონტრაქტი, რომლის მეშვეობითაც გადამზღვეველი კომპანიის უნაზღაურებს გაცემული ერთი ან მეტი ხელშეკრულების ზარალს და აკმაყოფილებს სადაზღვევო ხელშეკრულებად კლასიფიკაციის კრიტერიუმებს, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის კონტრაქტი. კომპანიის მიერ მიღებული გადაზღვევა (რეტროცესია) კლასიფიცირებულია, როგორც სადაზღვევო კონტრაქტი.

სარგებელი, რომლის მიღების უფლებაც კომპანიას წარმოეშობა მის მიერ ფლობილი გადაზღვევის კონტრაქტების შესაბამისად, კლასიფიცირდება, როგორც გადაზღვევის აქტივი. ასეთი ტიპის აქტივები შედგება მოკლე და გრძელვადიანი მოთხოვნებისგან, რაც განისაზღვრება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან წარმოშობილი მოსალოდნელი ზარალებისა და სარგებლის ვადის მიხედვით.

გადამზღვეველისგან მისაღები ანაზღაურების შეფასება ხდება შესაბამისი გადაზღვეული კონტრაქტებიდან მისაღები თანხების პროპორციულად და თითოეული ამ კონტრაქტის პირობების შესაბამისად. გადაზღვევის ვალდებულება წარმოადგენს გადაზღვევის კონტრაქტებზე გადასახდელ პრემიას და აღიარდება ხარჯად გადახდის ვადის დადგომისას.

26. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია ყოველწლიურად ახდენს გადაზღვევის აქტივების გაუფასურების შეფასებას. თუ აღმოჩნდა აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია ამცირებს მის საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას აქტივის გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს.

გაუფასურების ზარალიც იმავე მეთოდით გამოითვლება, როგორც ეს ხდება ფინანსური აქტივების დროს.

სადაზღვევო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ვალდებულებები

მოთხოვნებისა და ვალდებულებების აღიარება, როგორცაა აგენტების, ბროკერებისა და პოლისების მფლობელებისგან მისაღები ან მათთვის გადასახდელი თანხები, ხდება მათი წარმოშობის მომენტიდან.

დაზღვევიდან მისაღები მოთხოვნების აღიარება წარმოებს სადაზღვევო პოლისის პირობების საფუძველზე. მოთხოვნები გადაზღვევიდან ძირითადად გულისხმობს გადამზღვევლი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს, რომლებიც წარმოიშვა სადაზღვევო ვალდებულებების გადაზღვევის სანაცვლოდ.

თუ არსებობს სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია ამცირებს სადაზღვევო მოთხოვნის საბალანსო ღირებულებას და აღიარებს გაუფასურების ზარალს. კომპანია ახორციელებს მტკიცებულებების მოპოვებას სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურებაზე იგივე პრინციპით, როგორც იყენებს ამორტიზებადი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურების დროს. გაუფასურების ზარალიც იმავე მეთოდით გამოითვლება, როგორც ეს ხდება ფინანსური აქტივების დროს.

(i) რეგრესი და გადარჩენილი ქონება

ზოგიერთი სახის სადაზღვევო კონტრაქტი კომპანიას უფლებას აძლევს, გაყიდოს (როგორც წესი, გაფუჭებული) ზარალის დაფარვის შედეგად მიღებული ქონება (გადარჩენილი ქონება). კომპანიას ასევე შეიძლება ქონდეს უფლება, მესამე მხარეს მოსთხოვოს ზარალის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება (რეგრესი).

გადარჩენილი ქონებიდან მიღებული ანაზღაურება აისახება სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების სახით, ხოლო როდესაც ვალდებულება დაფარულია, იგი აღიარდება, როგორც სხვა აქტივი. სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია შესაბამისი ქონების რეალიზაციიდან.

რეგრესებიც ასევე განიხილება, როგორც სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირება, და აღიარდება სხვა აქტივებში იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებები დაფარულია. სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ვალდებულების შემცირების თანხა კი არის თანხა, რომლის მიღებაც გონივრულ პირობებში შესაძლებელია მესამე მხარეებისგან.

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მოიცავს: ზარალების რეზერვს და გამოუმუშავებელი პრემიების რეზერვს.

ზარალების რეზერვები იქმნება ზარალებისთვის და სადაზღვევო ზარალებთან დაკავშირებული ხარჯებისთვის, რომლებიც მოხდა, მაგრამ კომპანიას ჯერ არ გადაუხდია. სადაზღვევო ზარალების რეზერვები იყოფა ორ კატეგორიად: განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი. რეზერვები არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. რეზერვები კომპანიის ბალანსში აისახება, როგორც ვალდებულება.

(i) განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი

რეზერვი შედგება ცნობილ მოთხოვნებზე სადაზღვევო ანაზღაურების დარეზერვებული გადაუხდელი თანხებისგან. ვალდებულების გაანგარიშება ხდება საანგარიშგებო თარიღით, ფაქტობრივი მოთხოვნების საფუძველზე.

(ii) მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი

კომპანიის სადაზღვევო ხელშეკრულებების უმეტესი ნაწილი შედგება სამედიცინო და ავტოკასკო დაზღვევისგან. ამგვარი ტიპის დაზღვევები, ძირითადად, მოკლევადიანია. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობა თვლის, რომ ამ ტიპის პოლისებისთვის რეზერვის გაანგარიშება აქტუარულ დათვლებს არ მოითხოვს და მის გაანგარიშებასა და აღრიცხვას ახდენს სადაზღვევო ზედამხედველობის მიერ დადგენილი დარეზერვების განაკვეთების მიხედვით.

(iii) გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

26. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აქტიურ პოლისებზე გამოუმუშავებელი პრემიის საბალანსო ღირებულება გამოითვლება სადაზღვევო პერიოდსა და თითოეული სადაზღვევო პოლისის ვადის ამოწურვამდე დარჩენილი დროის საფუძველზე.

ვალდებულების ადეკვატურობის ტესტი

ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს კომპანია ატარებს ვალდებულების ადეკვატურობის ტესტს, რათა შეაფასოს აღიარებული სადაზღვევო ვალდებულებების ადეკვატურობა, რომელიც შემცირებულია აკვიზიციის გადავადებული ხარჯებითა და საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შეძენილი სადაზღვევო ხელშეკრულებებით. ადეკვატურობის ტესტისთვის კომპანია იყენებს თავისი სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომავალი ფულადი ნაკადების, ზარალებისა და ადმინისტრაციული ხარჯების, ასევე სადაზღვევო ვალდებულებების უზრუნველყოფისთვის საჭირო აქტივებიდან მიღებული საინვესტიციო შემოსავლების მიმდინარე შეფასებებს. აღნიშნული შეფასებებიდან წარმოშობილი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულების ნებისმიერი გაუფასურება აღიარდება შემდგენიარად: თავდაპირველად ხდება შესაბამისი აკვიზიციის გადავადებული დანახარჯებისა და საწარმოთა გაერთიანების ან სადაზღვევო ხელშეკრულებების პორტფელის გადაცემის დროს შეძენილი სადაზღვევო ხელშეკრულებების ჩამოწერა მოგებაში ან ზარალში, ხოლო შემდგომ ხდება გაუფასურების ზარალის რეზერვის შექმნა.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს ქვემოთ მოცემულ კატეგორიებად, შეძენილი აქტივის დანიშნულებიდან გამომდინარე. კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა თითოეული კატეგორიისთვის შემდეგია:

(ა) სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელი და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის.

ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი, წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნებისა და გაცემულ სესხებისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი, ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება უნდა შემცირდეს შესაბამისი რეზერვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან, საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები და ფულისა და ფულის ეკვივალენტების სახით.

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

(ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელითა და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომლის დაფარვის ვადამდე შენარჩუნების სურვილი და პოტენციური შესაძლებლობაც გააჩნია საწარმოს, გარდა იმისა:

(ა) რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღირებისას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით;

(ბ) რომლებსაც კომპანია განიხილავს, როგორც გასაყიდად არსებულს; და

26. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) რომლებსაც მიესადაგება განმარტება - სესხები და მოთხოვნები.

(გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს:

(ა) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული. ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება, როგორც სავაჭროდ გამიზნული, თუ იგი:

- (i) შეძენილია ან აღებულია მხოლოდ გაყიდვის ან გამოსყიდვის მიზნით უახლოეს ვადებში;
- (ii) თავდაპირველი აღირებისას გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილია, რომელიც ერთად იმართება და რომლისთვისაც უახლოეს წარსულში მოკლევადიანი მოგების მიღების მტკიცებულება არსებობს; ან
- (iii) წარმოებული ინსტრუმენტია (იმ წარმოებულის გამოკლებით, რომელიც არის ფინანსური გარანტიის კონტრაქტი, ან ეფექტური ჰეჯირების ინსტრუმენტადაა მიჩნეული).

(ბ) თავდაპირველი აღირებისას კომპანიის მიერ იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანიას ამგვარი კლასიფიკაციის გამოყენება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში შეიძლება:

- (i) თუ კონტრაქტი შეიცავს ერთ ან მეტ წარმოებულ ინსტრუმენტს, კომპანიას უფლება აქვს, ჰიბრიდული (კომბინირებული) კონტრაქტი მიიჩნიოს ფინანსურ აქტივად, რომელიც კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც:
 - ჩართული წარმოებული (წარმოებულები) მნიშვნელოვნად არ ცვლის იმ ფულადი ნაკადების სიდიდეს, რომელიც კონტრაქტით სხვა შემთხვევაში იქნებოდა მოთხოვნილი;
 - მსგავსი ჰიბრიდული (კომბინირებული) ინსტრუმენტის პირველად განხილვის დროს, ანალიზის გარეშე ან მცირე ანალიზიდანაც აშკარად ჩანს, რომ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტის ცალკე გამოყოფა იკრძალება, როგორცაა, მაგალითად, სესხში ჩართული წინასწარ გადახდის არჩევანის უფლება, რომელიც მფლობელს უფლებას აძლევს, სესხის დასაფარად გადაიხადოს დაახლოებით მისი ამორტიზებული ღირებულების ტოლი თანხა; ან
- (ii) როდესაც ამის გაკეთება უფრო შესაბამის ინფორმაციას იძლევა, რადგან:
 - იგი მთლიანად აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეფასებით ან აღიარებით გამოწვეულ შესაბამისობებს (რასაც ზოგჯერ „სააღრიცხვო შეუსაბამობას“ უწოდებენ), რაც სხვა შემთხვევაში წარმოიქმნებოდა განსხვავებულ საფუძველზე აქტივების შეფასებიდან ან მათი შესაბამისი შემოსულობებისა და ზარალის აღიარებიდან; ან
 - ფინანსური აქტივების ჯგუფი იმართება და მისი შედეგის შეფასება რეალური ღირებულების საფუძველზე ხდება, დადგენილი რისკის მართვის ან საინვესტიციო სტრატეგიის შესაბამისად და აღნიშნული ჯგუფის შესახებ ამავე საფუძველზე მომზადებული ინფორმაცია მიეწოდება კომპანიის ფარგლებში, კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(დ) გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებიც განიხილება, როგორც გასაყიდად არსებული, ან არ კლასიფიცირდება, როგორც (ა) სესხები და მოთხოვნები; (ბ) დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები; ან (გ) რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები.

26. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან. კომპანიის პოლიტიკა თითოეული სახეობის ფინანსურ ვალდებულებაზე შემდეგია:

(ა) *რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით*

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით, არის ფინანსური ვალდებულება, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთს (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ფინანსური აქტივის შესახებ ინფორმაცია):

(i) იგი კლასიფიცირებულია, როგორც სავაჭროდ გამიზნული;

(ii) თავდაპირველი აღიარებისას კომპანიის მიერ, იგი კლასიფიცირებულია რეალური ღირებულებით აღრიცხვისთვის, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

(ბ) *სხვა ფინანსური ვალდებულებები*

სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სხვა სადაზღვევო ვალდებულებებს, მიღებულ სესხებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა ასახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის განზრახვა. შემოსავალი და ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

მოზიდული პრემია

მოზიდული სადაზღვევო პრემიების აღიარება ხდება პოლისის გაცემისთანავე, ხოლო მათი გამომუშავება ხდება პროპორციულად, შესაბამისი პოლისით დადგენილი ვადის განმავლობაში. მოზიდული სადაზღვევო პრემიები ასახავს წლის განმავლობაში დაწყებულ საქმიანობას, წარმოდგენილია საკომისიოს გამოქვითვამდე და არ მოიცავს გაყიდვასთან დაკავშირებულ გადასახადებს თუ მოსაკრებელს. გამოუმუშავებელი პრემია არის წლის განმავლობაში მოზიდული პრემიების ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება ანგარიშგების თარიღის შემდგომ რისკის პერიოდებს. გამოუმუშავებელი პრემიები გამოითვლება პროპორციულად თითოეული დღისთვის.

გადამზღვეველის წილი მოზიდულ პრემიაში

მოზიდულ პრემიაში გადამზღვეველის წილის აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც გაფორმდა გადამზღვევის ხელშეკრულება. პრემიების ხარჯად აღიარება ხდება გადამზღვევის ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და გამოითვლება ყოველდღიურად, პროპორციული წესით.

26. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი

შემდგომ პერიოდებს მიკუთვნიებული მოზიდული პრემიის წილი გადავადდება, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში ცვლილება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შედის რისკის პერიოდის ამოწურვის მიხედვით.

სარგებელი და ზარალი

სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებული ზარალები ასახავს წლის განმავლობაში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევების საერთო ხარჯს, მათ შორის ზარალის რეგულირებაზე გაწეულ დანახარჯებს. გარდაცვალებისა და პოლისის შეწყვეტის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების ხარჯები აღირიცხება მიღებული შეტყობინებების საფუძველზე.

ზოგადი სადაზღვევო ზარალები მოიცავს წლის განმავლობაში მომხდარ და გაცხადებულ ან განუცხადებელ ზარალს, მათ შორის ამ ზარალის დარეგულირების ხარჯებს და ნარჩენი ან სხვა სალიკვიდაციო ღირებულებების შემცირებას.

პერსონალის ხარჯი

ხელფასები, სარგოები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულება, ბონუსები და არაფულადი სარგებელი, ასევე, თანხა გადახდილი წილობრივ ინსტრუმენტზე დაირიცხება იმ წელს, რომელ წელსაც გაწეული იქნა შესაბამისი მომსახურებები კომპანიის თანამშრომლების მიერ.

მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადი

პერიოდის საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას, კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. კომპანია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაობების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიჭვითება.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებსთვისაც ძალაში შესვლის თარიღი თავდაპირველად 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. 2018 წლის 5 მაისს ფინანსური დაწესებულებებისთვის ამ ცვლილების ამოქმედების თარიღმა 2023 წლის 1 იანვრამდე გადაიწია.

26. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება, და არა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასით შესრულებული გარიგებები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ბიზნესსაქმიანობასთან, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური

ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანიიდან მოხდება ეკონომიკური სარგებლის გასვლა მიმდინარე მოვალეობასთან დაკავშირებით, რომელიც წარსული მოვლენების შედეგად წარმოიშვა, და რომლის საიმედოდ შეფასებაც შესაძლებელია, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი. თუმცა, თუ ეკონომიკური სარგებლის გასვლა დამოკიდებულია მომავალში მოსახდენ მოვლენაზე ან არ არის

შესაძლებელი მისი საიმედოდ შეფასება, ფინანსურ ანგარიშგებაში კეთდება განმარტებითი შენიშვნა პირობითი ვალდებულების სახით.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

26. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მმართველობის ანგარიშგება
სს სადაზღვევო კომპანია პრაიმო
2021 წელი

სარჩევი

1.	ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა.....	47
2.	მომსახურება, პროდუქტები და პორტფელი.....	49
3.	მომხმარებელთა უფლებების დაცვა და სოციალური პასუხისმგებლობა.....	50
4.	სოციალური პასუხისმგებლობა.....	51
5.	ფინანსური მაჩვენებლები.....	51
6.	ბიზნეს გარემოს გავლენა და რისკები	52
7.	განვითარების გეგმები.....	53



1. ისტორია, დამფუძნებლები და მმართველობა

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი, ყოფილი სს სტანდარტ დაზღვევა საქართველო (შემდგომში - კომპანია) დარეგისტრირებულია 2007 წლის 4 ნოემბერს თბილისის ძველი თბილისის რაიონის საგადასახადო ინსპექციის მიერ. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, უნივერსიტეტის ქ. №24, სართული 6, სადარბაზო 1, ოფისი №6. საიდენტიფიკაციო № 204540274.


2018 წელს კომპანიამ განახორციელა რებრენდინგი. ამის შედეგად შეიცვალა იურიდიული სახელწოდება და გახდა სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი.

კომპანიამ შექმნა ლოგო (სასაქონლო ნიშანი, დაპატენტებული საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის მიერ, მოწმობა #30904), რომელიც თავის თავში ატარებს არა მხოლოდ ვიზუალურ არამედ საინტერესო შინაარსობრივ დატვირთვას, რაზეც გავამახვილებთ ყურადღებას:

„სიტყვა “პრაიმი” ნიშნავს – პირველს. Prime-ში არის მეორე სიტყვა im ანუ I'M – მე ვარ, რომელიც გამოყოფილია ფერით და მიიღება: I'm Prime – მე ვარ პრაიმი, ანუ მე ვარ პირველი.“



ლოგოს მოყვანილობაში გაერთიანებულია ერთიანი და P-სახელწოდების პირველი ასო, სადაც 1-იანი აღნიშნავდა პირველობას, ხოლო P – სიტყვა პრაიმის პირველ ასოს



მმართველობის ანგარიშგება

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმო

2021 წელი

კომპანია ფლობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ ორი სახის დაზღვევის ლიცენზიას სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისათვის.

კომპანიის ძირითად საქმიანობას შეადგენს ყველა ტიპის სადაზღვევო საქმიანობა.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში. კომპანიის მიმდინარე მმართველობის ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის ასევე აქვს სამი სერვის-ცენტრი ბათუმში, ფოთსა და თელავში.

2021 წელს მოხდა კაპიტალის ზრდა 3,165,914 ლარით და 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგენდა 10,891,468 ლარს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელი იყო MERCURY EUROPE HOLDINGS (ს.ნ. B 165504, მისამართი: ემილი როიტერის გამზირი #11, L-2420, ლუქსემბურგი) რომელიც ფლობდა კომპანიის აქციების 100%-ს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირი (ბენეფიციარი მესაკუთრე) არის ალია ბაბაევა (აზერბაიჯანი).

ორგანიზაციის ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ყოველდღიურ მართვას ახორციელებენ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული დირექტორები.


შპს ს სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან:

1. რამზი აკპეროვ (71 4956919, რუსეთი) - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
2. ანარ აბბასოვ (P3703179, აზერბაიჯანი) - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ართოლრულ გაფაროვ (C00348322, აზერბაიჯანი) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

კომპანიის დირექტორები დანიშნულები არიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ :

1. ნიჯატ ჰუსეინოვ - გენერალური დირექტორი;
2. მარეხი გურული - ფინანსური დირექტორი;
3. ირაკლი ბერუჩაშვილი - გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორი;

კომპანიის მართვას დირექტორებთან ერთად ახორციელებენ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები. კომპანიის სტრუქტურა არის შემდეგი სახის:



2021 და 2020 წლების განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო 100 ადამიანი.

აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. კომპანია ზრუნავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე სასწავლო კურსებსა და სემინარებში მათი მონაწილეობისა და ჩართულობის კუთხით.

კომპანიის მიზანი არის მკაცრი კონკურენციის პირობებში უზრუნველყოს საკუთარი მომხმარებლის კმაყოფილების მაღალი დონე ხარისხიანი მომსახურებით, ანაზღაურების მოქნილი და გამარტივებული პროცედურებით, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით, დაზღვევის გამჭვირვალე პირობებით, ბენეფიტებით.

2. მომსახურება, პროდუქტები და პორტფელი

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმის სათაო ოფისი მდებარეობს მის იურიდიულ მისამართზე. კომპანიას აქვს სამი სერვის ცენტრი ბათუმში, ფოთსა და თელავში, სადაც მომხმარებლებს ყველა იმ სერვისებს სთავაზობენ სრულად, რისი მიწოდებაც ხდება სათაო ოფისში.

სერვის ცენტრების გახსნის მიზანი იყო კომპანიის საქმიანობის სფეროების გაფართოება და ახალი ბაზრების ათვისება ისეთ მნიშვნელობის ქალაქებში, როგორც არის ბათუმი და ფოთი.


ფოთს აქვს დიდი რესურსი გადამზიდვლების საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის მიმართულებით.

2021 წელი

ბათუმი თავისი განვითარების და სტრატეგიული მნიშვნელობის მასშტაბებიდან გამომდინარე მიმზიდველია სადაზღვევო საქმიანობისთვის - სამშენებლო რისკების, ქონების და დაზღვევის სხვა სახეობების მიმართულებებით.

თელავის ოფისის ძირითადი საქმიანობა არის აგრო დაზღვევის განვითარება. კომპანიამ 2021 წელს დაიწყო ოპერირება აგროდაზღვევის მიმართულებით.

დიაგრამაზე მოცემულია 2021 წელს სახეობების მიხედვით მოზიდული პრემიის ხვედრითი წილი პორტფელში:



ცხრილის სახით მოცემულია ბოლო სამი წლის განმავლობაში მოზიდული სადაზღვევო პრემიები სახეობების მიხედვით:

მოზიდული სადაზღვევო პრემია			
სახეობა	2021	2020	2019
სავალდებულო დაზღვევა	1,275,348	1,202,900	2,261,523
სამედიცინო დაზღვევა	931,565	1,199,552	1,723,242
ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	1,829,768	2,316,471	1,556,066
კონტეინერების დაზღვევა	314,165	397,249	399,959
პასუხისმგებლობის დაზღვევა	252,204	287,163	366,309
ქონების დაზღვევა	113,675	102,445	338,971
ტვირთების დაზღვევა	164,888	120,551	61,221
სამოზგაურო დაზღვევა	5,298	5,192	19,733
ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	359,795	291,672	159,595
აგროდაზღვევა	112,071		
ჯამი	5,358,777	5,923,195	6,886,619

3. მომხმარებელთა უფლებების დაცვა და სოციალური პასუხისმგებლობა

ამ მიმართულებით მუშაობა მნიშვნელოვნად არის გაფართოებული, რაც ხდის ამ ნაწილის ცალკე გამოყოფის აუცილებლობას. კომპანიამ შეიმუშავა სადაზღვევო მომსახურების გაწევისას მომხმარებლის უფლებების დაცვის კონცეფცია, რაც მოიცავს მომხმარებლისათვის სადაზღვევო მომსახურების გაწევის დროს სრული, აუცილებელი, გასაგები, უტყუარი და თავისდროული ინფორმაციის თანმიმდევრული მიწოდების საკითხებს, ემსახურება მომხმარებელთა უფლებების დაცვას და პოტენციური რისკების შემცირებას.

კონცეფცია ასევე მოიცავს:

- კომპანიის ვალდებულებას სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზების ეტაპზე (მომხმარებლისათვის სადაზღვევო პროდუქტის შესახებ აუცილებელი გარემოებების წინასწარ გაცნობისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების მიზნით, სადაზღვევო პროდუქტის შეთავაზების ეტაპზე მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისათვის პროდუქტის დეტალური აღწერილობის, უტყუარი, ზუსტი და არადამაბნეველი ინფორმაციის მიწოდება);
- კომპანიის ვალდებულებას დაზღვევის ხელშეკრულების დადების/სადაზღვევო პოლისის გაცემის ეტაპზე;
- კომპანიის ვალდებულებას დაზღვევის ხელშეკრულების დადების შემდეგ მომხმარებელთან ურთიერთობის ეთიკის ნორმებს;
- კომპანიის ვალდებულებას მომხმარებლების პრეტენზიების განხილვასა და აღრიცხვასთან დაკავშირებით;

კომპანიამ აღნიშნული მიმართულებით მუშაობისთვის გამოყო სპეციალური პასუხისმგებელი თანამშრომელი, რომელიც განიხილავს კომპანიაში შემოსულ პრეტენზიებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კომპანია მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით ანგარიშვალდებულია საზედამხედველო სამსახურთან.

4. სოციალური პასუხისმგებლობა

კომპანია იზიარებს კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობას. პირველ რიგში თანამშრომლების მხრიდან არის დიდი ჩართულობა საქველმოქმედო ღონისძიებებში. განსაკუთრებული აქცენტი სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარებისკენ არის მიმართული. თანამშრომლების ინიციატივით შეიქმნა შიდა ფონდი, სადაც ყოველთვიურად აკუმულირდება თანხა სოციალურად დაუცველი ოჯახების დასახმარებლად. კომპანია მართავს აქციებს სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის. კომპანია აქტიური იყო კოვიდ-19-ის (COVID-19) პერიოდში, მან განახორციელა StopCovid ფონდში შენატანი, ასევე სოციალურად დაუცველი ბავშვები უზრუნველყო ერთ წელი უფასო ინტერნეტით.

5. ფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ მოცემულია ძირითადი კოეფიციენტები და მათი შედარება დარგის ანალოგიურ მაჩვენებელთან:

კოეფიციენტები	სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი	დარგის საშუალო მაჩვენებელი
გადაზღვევის წილი პრემიაში	4%	18%
ზარალიანობის მაჩვენებელი, ნეტო	43%	65%
რეგრესების წილი ზარალში	27%	7%
შრომის ანაზღაურების წილი შემოსავალში	35%	22%
ადმინისტრაციული ხარჯის წილი შემოსავალში*	29%	9%

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ძირითად სადაზღვევო მაჩვენებლებში მეტნაკლებად თანხვედრაა დარგის მაჩვენებელსა და კომპანიის მაჩვენებელს შორის. შედარებით მნიშვნელოვანი გადახრა არის ადმინისტრაციული ხარჯის და სახელფასო ხარჯის წილში შემოსავალში, რისი ძირითადი მიზეზიც არის ამ ხარჯების ოდენობა, არამედ თავად შემოსავლის სიმცირე.

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, ძირითად სადაზღვევო მაჩვენებლებში დარგის მაჩვენებელთან შედარებით კომპანიის მაჩვენებლები უმჯობესია. განსაკუთრებით სუბროგაციის უფლების გამოყენებასთან მიმართებაში. აღნიშნული განპირობებულია კომპანიის მიერ 2021 წლის მარტში დაწყებული პროექტით, რის მიხედვითაც მასიურად დაიწყო სასამართლო გზით სარეგრესო უფლებების რეალიზება.

როგორც ფინანსური ანგარიშგებებიდან ჩანს, არის საკითხები რაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება:

- შემოსავალი (გამომუშავებული ნეტო პრემია) წინა პერიოდთან შედარებით არის შემცირებული, ხოლო გაზრდილია სადაზღვევო მოცემა.

გამომუშავებული პრემია და სადაზღვევო მოგება		
	2021	2020
გამომუშავებული პრემია	5,015,264	5,747,385
სადაზღვევო მოგება	2,898,274	2,436,259

- კომპანიამ ზარალი ნახა საკურსო სხვაობიდან. გასულ წელს მოგება იყო 541 835 ლარი, ხოლო საანგარიშო წლის ზარალმა შეადგინა 319 178 ლარი.

6. ბიზნეს გარემოს გავლენა და რისკები

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. აგრეთვე არსებობს საკითხები რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება და მუდმივ ცვლილებებს განიცდიან, რაც დამატებით ბარიერებს წარმოშობს საქართველოში მოქმედი კომპანიებისთვის.

კომპანია ფუნქციონირებს მაღალკონკურენტულ გარემოში, სფერო არის ძალიან სენსიტიური, რაც კომპანიას სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს.

კომპანია მნიშვნელოვნად მიიჩნევს რისკების მართვის სისტემის არსებობას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს დაზღვეულთა მაღალხარისხიანი მომსახურება, გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა, აქციონერთა სარგებლის გაზრდა, რყევების თავიდან აცილება ან/და მათი მინიმიზება.

კომპანიის ძირითადი რისკი არის სადაზღვევო რისკი. მართალია ზარალების სიხშირე სამედიცინო დაზღვევაში მნიშვნელოვნად დიდია, მაგრამ გასული წლის განმავლობაში კომპანიაში მაღალი იყო ზარალიანობა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევაში. აღნიშნულის დასარეგულირებლად და გადახდისუნარიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება რეზერვები და გამოიყენება გადაზღვევის პოლიტიკა. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მზღვეველი თავად არის პასუხისმგებელი დამზღვევთან ზარალის ანაზღაურებაზე, გადამზღვეველის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობისას იქმნება საკრედიტო რისკის საფრთხე, რის თავიდან ასაცილებლადაც ხდება სწორედ გადაზღვევის რეიტინგული პარტნიორის შერჩევა.

კომპანია საკუთარი პორტფელის დაბალანსებისა და რისკების მართვისათვის ახორციელებს გადაზღვევას. საკუთარ თავზე დატოვებული რისკის ლიმიტები განსხვავებულია სადაზღვევო პროდუქტების მიხედვით. გადამზღვეველის წილი სადაზღვევო რეზერვებსა და ზარალებში წარმოდგენილია განცალკევებულად კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

გადაზღვევის ნაწილი არის პროპორციული, ნაწილი დეპოზიტური სახის გადაზღვევა. კომპანიას განხორციელებული აქვს ფრონტინგი (სავაიაციო რისკების დაზღვევის სახეობაში.) კომპანიის ძირითადი გადამზღვეველი არის გადამზღვეველი კომპანია SCOR Perestrakhovaniye L.L.C, Ingostrakh insurance company, Polish Reinsurance Company თუმცა კომპანია ბროკერების მეშვეობითაც თანამშრომლობს სხვა, მაღალი რეიტინგის მქონე გადამზღვეველებთან.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საბანკო დეპოზიტები - აღნიშნულის მინიმიზებისთვის, ხდება დივერსიფიკაცია, რისი ვალდებულებაც კომპანიას აქვს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მარეგულირებელი წესითაც;
- მოთხოვნები გადაზღვევიდან - მისი შემცირებისთვის, ირჩევა მაღალრეიტინგული კომპანია, ასევე დიდი რისკები გადამზღვეველებთან დივერსიფიცირებულია;

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კომპანიაში უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღმკვეთი ღონისძიებების გატარებას. რისთვისაც შექმნილია რისკების მართვის სისტემა, რაც უზრუნველყოფს საექვო გარიგებების, მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგებების გამოვლენას, იდენტიფიცირდება კომპანიასთან დაკავშირებული ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი (ბენეფიციარი მესაკუთრეების ჩათვლით), ტარდება ტრენინგები თანამშრომლებისთვის, ვისაც უშუალო კომუნიკაცია უწყევთ კომპანიასთან საქმიანი ურთიერთობით დაკავშირებულ პირებთან.

7. განვითარების გეგმები

კომპანია წლების განმავლობაში სტაბილურად ვითარდება და აპირებს მომავალში საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელებას. არ მიმართავს აგრესიულ პოლიტიკას. კომპანიის მომავალი წლის განვითარების გეგმაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, რაც საშუალებას მისცემს კლიენტს ონლაინ შეისყიდოს დაზღვევის პროდუქტი, საკუთარი, მომხმარებლის კაბინეტის მეშვეობით აკონტროლოს და ინფორმირებული იყოს დაზღვეული ინტერესების შესახებ (დაზღვეული პროდუქტები, ვადები, გადახდის გრაფიკები, ზარალის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია, ლიმიტები, სადაზღვევო ისტორია, ოაჯიხის ექიმთან ონლაინ ჩაწერა/კონსულტაცია და ა.შ.), გადახდის და ანაზღაურების გამარტივებული პირობების სრულყოფა.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პროცესი, რომელიც დაიწყო 2017 წელს - საზღვარზე შემომსვლელი ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა პასუხიმგებლობის დაზღვევა სავალდებულო წესით (MTPL).


გეგმა, რაც ჰქონდა კომპანიას დასახული, გადაიხედა, აღნიშნული ეხება როგორც ფინანსურ მაჩვენებლებს, ისე ბიზნესის გაფართოებას, რაც გამოიწვია მსოფლიოში 2020-2021 წლის დასაწყისში განვითარებულმა საყოველთაო მოვლენებმა.

გარემო არის არაპროგნოზირებადი, შესაბამისად, რთულია საფრთხის შესაძლო ეფექტების შეფასება. არასტაბილური გარემო, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ სექტორზე. კომპანიამ გადახედა მომავალ გეგმებს და მოუწია მისი არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა. ორიენტაცია აღებულია დისტანციურ მომსახურებაზე, ონლაინ სერვისების შექმნაზე, განვითარებაზე.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა არ არის კითხვის ნიშნის ქვეშ.

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 15 აპრილს შემდეგი პირის მიერ:

ფინანსური დირექტორი



მ. გურული